https://docs.google.com/document/d/1uM9Xh0ybUn2jsO2EhWk9vgVmPwBeJmrx/edit

**მე–2 გ კლასის ანგარიში**

**პედაგოგი: მაია ხოსიაური**

**18.10.2018 პრეზენტაცია თემაზე – „შინაური ფრინველები“**

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადაცემა; ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.

**12.11. 2018 პრეზენტაცია თემაზე – „ინტერვიუ“**

**მიზანი:** ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.

**05.12.2018 ლიტერატურულ თეატრი – სპექტაკლზე დასწრება**

**მიზანი:** თვალსაწიერის გაფართოება; მოსწავლე ეზიაროს თეატრალურ ხელოვნებას; გაეცნოს სხვადასხვა მწერლის შემოქმედებას;

**25.01.2019 პრეზენტაცია თემაზე – „ბერძნული მითები“**

**პედაგოგი:** მაია ხოსიაური **მშობელი:** მაია ხუბაშვილი

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადაცემა; ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება; მშობელთა ჩართულობა (ოჯახის მონაწილეობა სასწავლო პროცესში მოსწავლეზე დადებითად აისახება);






**08 . 02. 2019 პრეზენტაცია თემაზე – „არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში“**

**პედაგოგი:** მაია ხოსიაური **მშობლები:** ნათია ჩაგუნავა; თეა სამუშია

**მიზანი:** მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა დაინტერესება სხვადასხვა ჟანრის წიგნებით; პრეზენტაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება.

**მსვლელობა:** მოსწავლეებმა მშობლების დახმარებით წაიკითხეს არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში, გაიაზრეს წაკითხული თემა და გააკეთეს ანალიზი. ნათია და თეა დედიკომ სლაიდებითა და საპრეზენტაციო პლაკატებზე მოცემული თამაშ-ვიქტორინით მრავალფეროვანი აქტივობები შესთავაზეს მოსწავლეებს.

   

   

**შედეგი:** გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია კითხვისა და სწავლის მიმართ.

**09.02.2019 როლური თამაში – მკითხველთა თეატრის მეთოდი**

**თემა:** ,,დათვისა და მგლის შეხვედრა“

**მიზანი:** გააზრებული კითხვისა და ზეპირი მეტყველების უნარების განვითარება, მოსმენისა და დიალოგური მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.

**შედეგი:** მოსწავლეებს განუვითარდათ საკუთარი კითხვის უნარის რწმენა, მოემატებათ თავდაჯერება და შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებენ ხმამაღლა გამომსახველობით კითხვას.

**11.02.2019 პრეზენტაცია თემაზე ,,ჩემი პატარაობა“**

**მიზანი:** ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.

    



**15.02.2019 თემა: ,,მეფე მიდასი“**

**მიზანი:** მშობლებთან თანამშრომლობა; სწავლის მოტივაციის ამაღლება; მოსმენისა და მსჯელობის უნარების განვითარება.









**18.02.2019 ბუკლეტებისა და პლაკატების შექმნა**

**თემა:** ,,გადავარჩინოთ დედამიწა“

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადაცემა; შემოქმედებითი უნარის განვითარება.

**22.02.2019 პრეზენტაცია თემაზე ,,ოქროს საწმისი“**

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადაცემა; ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.












**01.03. 2019 საკლასო ღონისძიება – ,,ჩემი დედიკო“**

**მიზანი:** საზეიმო განწყობის შექმნა; შემოქმედებითი და ზეპირი მეტყველების უნარების განვითარება;





**07.03.2019 პრეზენტაცია თემაზე – ,,გაზაფხულის დღესასწაული 8 მარტი“**

**მიზანი:** პლაკატების დამზადება და ინფორმაციის გადაცემა.










**22.03.2019 პრეზენტაცია თემაზე – ,,ღამურა“**

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება;  საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადაცემა; ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.





**01.04.2019 ლიტერატურული თეატრში სტუმრობა და სპექტაკლის ნახვა**

**მიზანი:** თვალსაწიერის გაფართოება; მოსწავლე ეზიაროს თეატრალურ ხელოვნებას; გაეცნოს სხვადასხვა მწერლის შემოქმედებას.





**10.04.2019 თემა:** ანიმაციური ფილმი – ,,წუნა და წრუწუნა“

**მიზანი:** მოსწავლეთა მოტივირება და ქართული მულტიპლიკაციური ფილმებით დაინტერესება იყო დღევანდელი ქართული ანიმაციური ფილმის ,,წუნა და წრუწუნას" ნახვის მიზანი თბილისის მე–11 საჯარო სკოლაში. ცოდნისა და გამოცდილების შეძენა სახალისო და საინტერესო იყო უფრო იმიტომ, რომ ფილმის ჩვენება საკლასო ოთახის გარეთ, სკოლის

დერეფანში მოეწყო, ფილმის განხილვა და შთაბეჭდილებების გაზიარება ნანახის, განცდილის შესახებ კი საკლასო ოთახში მოხდა, სადაც აზრთა გაცვლა–გამოცვლა, გამოცდილების გაზიარება და ინტერაქცია სახალისო აქტივობებით მიმდინარეობდა. გაკვეთილის ბოლოს მოსწ—ებმა მიღებუ ლი ცოდნის დემონსტრირება თავიანთი ხელით შექმნილი რეკლამებით შეძლეს.

    



**21. 04. 2019 კინოფილმის „მანანა“ ჩვენება/განხილვა**

**მიზანი:** თვალსაწიერის გაფართოება; ფილმის ანალიზი; მსჯელობის უნარის განვითარება; სხვისი აზრის პატივისცემა.

  

**22. 04. 2019 კოორდინირებული მუშაობა** მე–2 ვ კლასის მოსწავლეებთან

**თემა:** „დედამიწა ჩვენი სახლია“

**მიზანი:** გარემოზე ზრუნვა; მოსწავლეები გაიაზრებენ დედამიწის ეკოლოგიურ საფრთხეს, განივითარებენ თანამშრომლობით, საინფორმაციო, საკომუნიკაციო უნარ–ჩვევებს. ითანამშრომლებენ პარალელური კლასის მოსწავლეებთან და მათ პედაგოგთან.

**შედეგი:** მოსწავლეები გააცნობიერებენ ადგილობრივ გარემოზე და დედამიწაზე ზრუნვის აუცილებლობას.






**23.04.2019 პრეზენტაცია თემაზე: ,,სააღდგომო ტრადიციები“**

**მიზანი:** მოსწავლეები მოისმენენ სააღდგომო  დღესასწაულის შესახებ ინფორმაციას და მიიღებენ რჩევას, როგორ შეღებონ  სააღდგომო კვერცხი;  საკუთარი ხელით შეღებავენ  ხის და პლასტმასის კვერცხებს: განუვითარდებათ შემოქმედებითი უნარი.





**23.04.2019  წიგნის მსოფლიო კითხვის დღე**

**თემა : პელი გრძელი წინდა“ საყვარელი წიგნის კითხვა- ჩუქება**

23 აპრილს სსიპ ქ. თბილისის N11 საჯარო სკოლის II გ კლასში სტუმარიცა და მასპინძელიც წიგნი იყო. ერთნაირად აქტიურობდა მოსწავლეც და მასწავლებელიც. წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა...

















**25. 04. 2019 კოორდინირებული მუშაობა** პარალელური კლასის მოსწავლეებთან ფილმის ნახვისა და ემოციების გაზიარების მიზნით

**თემა: „ტყის კვარტეტი“**



















**2.05. 019 მკითხველთა თეატრი**

**თემა: ვასილ გულეურის ,,რწყილი და ჭიანჭველა“**

**მიზანი:** გააზრებული კითხვისა და ზეპირი მეტყველების უნარების  განვითარება, მოსმენისა და დიალოგური მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.

**შედეგი:** მოსწავლეებს განუვითარდათ საკუთარი კითხვის უნარის რწმენა, მოემატებათ თავდაჯერება და შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებენ  ხმამაღლა გამომსახველობით კითხვას.
**14 . 05. 2019 პრეზენტაცია თემაზე:** ,,მეფე თამარი“

**მიზანი:** ინფორმაციის მოძიება;  საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადაცემა; ზეპირი მეტყველების უნარ–ჩვევების განვითარება.






**15.05.2015  კოორდინირებული მუშაობა** მესამე კლასელებთან
**თემა: ბულინგი**
**პედაგოგები:** მაია ხოსიაური, ლალი არევაძე, ლუიზა მელაძე.
**მიზანი:** ბავშვის პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანად ჩამოყალიბება
**შედეგი:** მოსწავლე იხელმძღვანელებს ისეთი ფასეულობებით, როგორიცაა: არაძალადობრივი ცხოვრება, მიმტევებლობა და ურთიერთპატივისცემა.






**28.05.2019 საგანმანათლებლო პროექტი – ,,ცოდნა ძალაა“**

**ინტელექტუალური თამაში თემაზე – ,,ბერძნული მითები“**

**მუსიკის პედაგოგი:** ქეთევან ტუკვაძე

**მიზანი:** მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად წაიკითხონ და შეისწავლონ ბერძნული მითები; ახალი ლექსიკური ერთეულებით გაიმდიდრონ ცოდნა; განუვითარდეთ კითხვისა და წერის უნარები.

**მსვლელობა:** შევიმუშავე პროგრამა, მოვიწვიე მშობლები და ვთხოვე თანამშრომლობა; პირველადი შეხვედრა ვერბალური კომუნიკაციით შემოიფარგლა, ორიოდე სიტყვით ავუხსენი, რატომ და რა სახის ჩართულობა მსურს მათთან, კერძოდ, ჩემი ინიციატივის მიზანია, მეტი საერთო ინტერესი გაუჩნდეთ მშობლებს, შვილებსა და სკოლას, განიმტკიცონ ურთიერთობები და გაუმჯობესდეს მშობლების პოზიტიური ჩართულობის ხარისხი შვილების სასკოლო ცხოვრებაში, სკოლასა და ოჯახს შორის მოკავშირისა და მეგობრის დანახვა დადებითად აისახება თანამშრომლობის ხარისხსა და მოსწავლეთა მიღწევებზე.
გასათვალისწინებელი იყო, რომ მშობელთა ჩართულობის პროექტი ხელს არ უნდა უშლიდეს საგაკვეთილო საათების მიმდინარეობას, ასეთი აქტივობები კი მრავალია, მაგალითად: „მკითხველთა კლუბი“ – აქტივობას ორი მიზანი აქვს. ა) ბავშვებმა შეიყვარონ კითხვა; ბ) წიგნებში აღწერილ რთულ და დელიკატურ საკითხებზე ღიად და თავისუფლად ისაუბრონ უფროსებთან ერთად. ამ კლუბის ფარგლებში კლასის გამოწვევების საპასუხოდ მშობლებთან ერთად შევარჩიეთ წიგნი - **,,ბერძნული მითები",** რომელსაც მშობლები და შვილები ერთად წაიკითხავდნენ. რამდენიმე თავის წაკითხვის შემდეგ მოვაწყვეთ შეხვედრა, სადაც ერთად განვიხილეთ წაკითხული მითები. შეხვედრაზე გამოვიყენეთ სხვადასხვა ტიპის თამაშები. მოსწავლეები აქტიურობდნენ და ხალისით ასრულებდნენ მიცემულ დავალებებს.

**შედეგი:** მოსწავლეებს შეუყვარდებათ კითხვა; მომავალში წაიკითხავენ სხვადასხვა ჟანრისადა შინაარსის



წიგნებს, გაიზრდება კომუნიკაციის ხარისხი მშობელსა და მასწავლებელს შორის.

    

   

**31.05.2019** ,,ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღე“

**მიზანი:** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება; დადებითი და საზეიმო განწყობის შექმნა.

 